სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/98

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების საპრივატიზებო პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის №39 სხდომის №1 დადგენილების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის №2693' დადგენილების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 12 იანვრის N39 სხდომის N1 დადგენილებით, ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N24 სხდომის და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 30 ივნისის N5 სხდომის ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებები - საპრივატიზებო პირობებით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №60-ში (ნაკვ. 03/023) მდებარე

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№8 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №01.14.11.003.023) სარგებლობის უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობითი პრივატიზების პირობები შეიცვალოს უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად მოხმარდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას: კერძოდ, ჰიდროტექნიკის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის სრულყოფასა და ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტისა და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების აშენებას (რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ქ. თბილისში, სოფ. დიღომში ჭანტურიას ქ. N1 (ამჟამად მოციქულთა სწორის წმ. ნინოს N6) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი - N01.72.14.020.316)) ;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**